



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია"
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ნოემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
28 იანვარი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზირებული 28.08.2018, გადაწყვეტილება 58; გადაწყვეტილება აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №205, 07.11.2014. აკრედიტებულია 2019.07.11 მდე

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო მურვანიძე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა ადამია - დავით ტატიშვილის რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მოქმედი პროგრამა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2015 წლიდან - 2014.07.11 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №205 (07.11.2014; №205). პროგრამის აკრედიტაციის ვადა ამოიწურა 2019 წლის 7 ნოემბერს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: თანამედროვე მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ცვალებად გარემოსთან ადაპტირებას.

რეგიონში კადრების სიმწირის მიუხედავად, ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაკომპლექტებულია სპეციალობის შესაბამისი მაღალკვალიფიციური პერსონალით. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით პროგრამაზე შესაძლებელია 20-მდე სტუდენტის მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის 240 კრედიტიდან 217 კრედიტი განსაზღვრულია ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის, სპეციალობის თავისუფალ არჩევით კომპონენტებს ეთმობა 10 კრედიტი, ხოლო თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებს 13 კრედიტი. პრაქტიკული უნარების განმტკიცებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა - 12 კრედიტი.

რეაკრედიტაციისათვის საანგარიშო პერიოდში სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, კოლეგიალური შეფასების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები პროგრამის სრულყოფისა და

მაღალკვალიფიციური ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის მომზადების უზრუნველყოფის მიზნით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის MES 6 20 0000985331 ბრძანების, მასში 10 ნომბერს ბრძანება MES 6 20 0001084358 თანახმად შეტანილი ცვლილების საფუძველზე მიმდინარე წლის 20 ნომბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); შორენა მურვანიძე (წევრი); თეა ადამია (წევრი); ანი ბილანიშვილი (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში,

„ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფმა ონლაინ/ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. სრული შესაბამისობა

1.1. სრული შესაბამისობა; 1.2. სრული შესაბამისობა

სტანდარტი 2. მეტწილი შესაბამისობა

2.1. სრული შესაბამისობა; 2.2. მეტწილი შესაბამისობა
2.3. მეტწილი შესაბამისობა; 2.4. სრული შესაბამისობა
2.5. სრული შესაბამისობა; 2.6. სრული შესაბამისობა

სტანდარტი 3. სრული შესაბამისობა

3.1. სრული შესაბამისობა

სტანდარტი 4. სრული შესაბამისობა

4.1. სრული შესაბამისობა; 4.2. სრული შესაბამისობა
4.3. სრული შესაბამისობა; 4.4. სრული შესაბამისობა

სტანდარტი 5. სრული შესაბამისობა

5.1. სრული შესაბამისობა; 5.2. სრული შესაბამისობა; 5.3. სრული შესაბამისობა

- **რეკომენდაციები**

2.2. 2.2. რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი სასწავლო კურსების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და მოძრავი თამაშების შემსწავლელი კურსების სახით. დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები: კურსის „იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“, კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვროს სამედიცინო ქიმია.

2.3. რეკომენდირებულია ღრმა დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოში გადატანილ იქნას: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგია.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2. საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პათ. ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია (ჯამში 14 კრ). ისწავლებოდეს ინტეგრირებული კურსის „პათოლოგია“ სახით, შედარებით მცირე მოცულობით.

2.3. სამკურნალო და სპორტული მასაჟის სასწავლო კურსების გაერთიანება, ინტეგრაცია

2.3. რიგი სასწავლო კურსების: ალერგოლოგია, ნუტრიციოლოგია, გადატანა არჩევით სასწავლო კურსებში. 2.4. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მედიცინის რაც, შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით.

2.5. სასწავლო კურსების განხორციელებისას პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება გამოყენებული იყოს უფრო აქტიურად.

4.3. სასურველია, რომ ბიბლიოთეკის განახლება სისტემატურ ხასიათს ატარებდეს.

5.2. გარე კოლეგიალური შეფასების თანახმად ზრუნვა სტუდენტთა ენის კომპეტენციის გაუმჯობესებაზე, რაც გაზრდის მათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2015 წლიდან, აკრედიტირებულ იქნა 2014 წელს, გადაწყვეტილება №205 07.11.2014; საანგარიშო პერიოდში პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მასში განხორციელდა რიგი

ცვლილებები: სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლდა ლიტერატურა, ძირითადი ლიტერატურა დაკომპლექტდა ქართულენოვანი წყაროებით, ყველა სილაბუსში მითითებული იქნა კომბინირებული გამოცდის ფორმა მოხდა შეფასების სისტემის კორექტირება და დაკონკრეტდა გამოყენებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები. შეიცვალა დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა და დაწესდა ახალი მინიმალური ზღვარი დასკვნითი გამოცდისათვის; შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც კიდევ უფრო მიღწევადს ხდის მიზანს. განახლებულ იქნა კურსების სილაბუსების თემატიკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

აღწერა და შეფასება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში, მისიად აცხადებს მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ეხმაურება გაცხადებულ მისიას და ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის აღზრდას, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელიც შეძლებს პაციენტისა და კოლეგების უფლებების დაცვას, ავტონომიურობაზე, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობაზე დაყრდნობით ჯანდაცვის სისტემისა და რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანას;

პროგრამის მიზნები არ არის განყენებული რეგიონში შრომის ბაზრის საჭიროებებისგან და ის მიღწევადია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსებით, გათვალისწინებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, შრომის ბაზრის მხრიდან სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნა.

პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ, კერძოდ, პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების პროცესში სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იქნა „BCG RESEARCH“-ის მიერ მომზადებული „შრომისა და განთლების ბაზრის კვლევა“ და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან, რაც გულისხმობს გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობას, პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მიღწევადია არსებული რესურსების ფარგლებში განათლების უზრუნველყოფით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს, როგორც პროგრამით დასახული, ასევე კვალიფიკაციის ჩარჩოს

შესაბამისი ცოდნის და უნარის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას, სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა პროგრამის სრულად ათვისების შემდეგ უზრუნველყოფს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის ხარისხის მინიჭებას.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცხრა ძირითადი შედეგის სახით, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

- ექნება ფართო ცოდნა საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური მეცნიერებების, საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური მედიცინის, ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით, კერძოდ: ფიზიკური მედიცინისა და ზოგადად რეაბილიტაციის საფუძვლების, ელექტროდიაგნოსტიკისა და ელექტროთერაპიის, ფიზიოთერაპიის, სხვა თერაპიული მოდალობების (ულტრაბერა, კონტრასტული, თერმული, ჰიდროთერაპია, ბალნეოთერაპია, დიათერმია, ფიტოთერაპია მასაჟის, მანუალური თერაპიის, აკუპუნქტურის), სპორტული მედიცინის საფუძვლების შესახებ; გააცნობიერებს თავის როლს ჯანდაცვის სისტემაში, კრიტიკულად გაიაზრებს ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის თანამედროვე გზებს. აღნიშნული შედეგების გაზომვა შესაძლებელია პროფესიული პრაქტიკის მიმდინარეობაში, როდესაც სტუდენტი ახდენს მიღებული ცოდნის რეალიზებას ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში.
- შეეძლება ექიმთან შეთანხმებით ფიზიკური თერაპიის, სარეაბილიტაციო და სხვა პროცედურების ჩატარება პაციენტის ასაკის, დაავადების სპეციფიკის და მიმდინარეობის თავისებურების გათვალისწინებით;
- ექნება სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულებებში სამკურნალო შესაბამისი პროფილის კაბინეტის ორგანიზების უნარი; სარეაბილიტაციო პროცესის მონიტორინგის, კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მგომარეობების შეფასების უნარი, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებელის შეფასებისა და მიღებული ცოდნის საფუძველზე შესაბამისი პროცედურების ჩატარების უნარი;
- სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარების დინამიკისა და სხვა მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი;
- შეძლებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მიმართულებით სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას, არასრული და განყენებული მონაცემების შეგროვებას, განმარტებას და დასაბუთებული დასკვნის გაკეთებას არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ და მათ წარდგენას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ექნება ეფექტური კომუნიკაციის უნარი ნებისმიერ პაციენტთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა;
- შეეძლება სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება; ექნება დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი; აღნიშნულის დემონსტრირება და შეფასება ხდება პროფესიული პრაქტიკის განხორციელების მიმდინარეობაში.
- ექნება საკუთარ პროფესიული განვითარებისა და სწავლის, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი;

- ექნება დარგის პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების, სამედიცინო ეთიკის ძირითადი პრინციპების, პაციენტთა უფლებების, შშმ პირთა უფლებების, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპების, ჯანდაცვის სამართლის პრინციპების დაცვის უნარი. სწავლის შედეგების შესაფასებლად შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, პროგრამის თითოეული შედეგის შეფასებისათვის განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ყოველი სემესტრის ბოლოს ბსუ-ს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით - portal.bsu.edu.ge პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით, დამსაქმებელთა მონაწილეობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარით, ელექტრონული გამოკითხვის გზით. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგების ანალიზი, პროგრამის უწყვეტი მონიტორინგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ კურიკულუმის რუკა ○ ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი ○ შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა ○ სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა - https://portal.bsu.edu.ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.

პროგრამაზე სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით; ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (24.01.2012 N 12/5)“ 2010 წლის 4 თებერვლის №10/6 ბრძანების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 21 ივლისის №01-08/37 ბრძანების და „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების შესაბამისად.

უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება ან სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და გავლილი აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამაზე შესაძლებელია შიდა მობილობის ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა .

ჩარიცხული სტუდენტების ცოდნის ბაზა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებისათვის საჭირო დონეს და შესაბამისად, მიღწევადს ხდის სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/6 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (24.01.2012 N 12/6)“;
3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 21 ივლისის ბრძანება №01-08/37 „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
4. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილება „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
5. კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/6 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/6 ბრძანება საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსები შედგენილია ისე, რომ (მიზანი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, ფორმატი, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა) უზრუნველყოფილი იქნას კურსით გათვალისწინებული მიზნების, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევა. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი (1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს): მათ შორის 13 კრედიტი ეთმობა თავისუფალ სავალდებულო კომპონენტებს, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება 217 კრედიტით განსაზღვრული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები, ხოლო ძირითადი

სწავლის სფეროს არჩევითი კურსები მოიცავს 10 კრედიტს. სწავლების პერიოდში ჩამოყალიბებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებისათვის, ასევე კვლევისა და დასკვნის უნარების ჩამოყალიბებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია 12 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა და 5 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ემსახურება კვლევითი უნარების უკეთ განვითარებას.

პროგრამის ყოველი სასწავლო კომპონენტი ლოგიკური ჯაჭვის - „პროგრამის მიზანი - სასწავლო კურსის მიზანი - შინაარსი - სწავლების/სწავლის მეთოდები - სწავლის შედეგები“- რგოლია, კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრულია და მათი შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

პროგრამის სტრუქტურა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც ძირითადად ლოგიკურია, **თუმცა შევნიშნავთ**, რომ სასწავლო კურსი

- „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ (ისწავლება მესამე სემესტრში) წინაპირობის გარეშე, უპრიანია მას წინაპირობად განესაზღვროს სამედიცინო ქიმია.
- სასწავლო კურსები: სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით და იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები ისწავლება ერთსადაიმავე სემესტრში, ბიოლოგია წარმოადგენს იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის შესწავლის წინაპირობას, შესაბამისად, უნდა უსწრებდეს წინ მიკრობიოლოგიას.
- პათ. ფიზიოლოგია - 8 კრედიტი, ისწავლება მე-3 სემესტრში, ხოლო პათოლოგიური ანატომია - 6 კრედიტი, მე - 4 სემესტრში, ჯამში 14 კრ. რაც ვფიქრობთ, საკმარისია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შედეგების მისაღწევად, შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ისწავლებოდეს კურსი „პათოლოგია“ შედარებით მცირე მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ღრმა ანალიზი და ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულების სასწავლო კურსების შედარება, გვაფიქრებინებს, რომ პროგრამის სტრუქტურაში რეკომენდირებულია მოხდეს დარგობრივი დისციპლინების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპია, ოკუპაციური თერაპია, მოძრავი თამაშები, საკითხების შემსწავლელი კურსების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- დაწესებულების ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

- **რეკომენდაციები:**რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი სასწავლო კურსების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და მოძრავი თამაშების შემსწავლელი კურსების სახით.
- დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები: კურსის „იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“, კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვროს სამედიცინო ქიმია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პათ. ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია (ჯამში 14 კრ). ისწავლებოდეს ინტეგრირებული კურსის „პათოლოგია“ სახით, შედარებით მცირე მოცულობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, თითოეული სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმები, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა გათვლილია თემატიკის მოცულობიდან გამომდინარე, მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. სასწავლო კურსების თემატიკა აგებულია დარგის აქტუალურ პრობლემებზე. თითოეული კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელიც ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს,

რამოდენიმე კურსის არჩევითიდან სავალდებულოში გადატანა უფრო მეტად განამტკიცებს პროგრამის სწავლის შედეგებს, რეკომენდირებულია კურსების: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგია - სწავლება სავალდებულო სტატუსით, ხოლო რიგი სასწავლო კურსების: ალერგოლოგია, ნუტრიციოლოგია გადატანა არჩევით სასწავლო კურსებში ამასთანავე, სამკურნალო და სპორტული მასაჟის სასწავლო კურსების ინტეგრაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ღრმა დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოში გადატანილ იქნას: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამკურნალო და სპორტული მასაჟის სასწავლო კურსების გაერთიანება, ინტეგრაცია
- რიგი სასწავლო კურსების: ალერგოლოგია, ნუტრიციოლოგია, გადატანა არჩევით სასწავლო კურსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკა 2 სასწავლო კურსის სახით, რომელზეც გამოყოფილია 12 კრედიტი, რაც წინა პროგრამისგან განსხვავებით გაზრდილია და გულისხმობს თეორიულად ათვისებული მასალის გადატანას პრაქტიკაში და შესაბამისი უნარების გამომუშავებას, უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სწავლის შედეგებთან და სწავლის საფეხურთან მიმართებაში.
- დაწესებულებამ, გაითვალისწინა რა ვიზიტის განხორციელება დისტანციურ რეჟიმში, გადმოაგზავნა პრაქტიკის ბაზებზე მომზადებული ვიდეო რგოლები, საიდანაც დამატებით, ისევე როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან გაირკვა, რომ პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება უზრუნველყოფილია სხვადასხვა ბაზებზე (ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი, უნიმედი აჭარა, ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, უნიმედი კახეთი, ირის ბორჩაშვილის სახ. ჯანმთელოების ცენტრი, მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი, ბათუმის სამედიცინო ცენტრი, შპს „სანიტასი“, ხოზრევანიძის კლინიკა, რეაბილიტაციის ცენტრი „ფანშეტი“, შპს „თავისუფლება მოძრაობაში“, შპს სამედიცინო ასოციაცია თანა), რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები „ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩასატარებლად მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენების შესახებ, თუმცა, აღნიშნული მრავალრიცხოვანი მემორანდუმები არის ტიპიური, ზოგადი და მათში არ არის გაწერილი ბაზის გამტარუნარიანობა, რაც არ იძლევა პრაქტიკის რაოდენობრივ და ხარისხობრივ სრულ სურათს.
- პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვა-განხორციელება ნაწილობრივ კორელირებს სწავლის შედეგებთან, მათი გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მედიცინის რაც, შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით, რადგან ფიზიკური რეაბილიტაცია თანამედროვე მედიცინის ყველა სფეროს განუყოფელი მდგენელია.
- სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სამეცნიერო კონფერენცების/სტუდენტური კონკურსების შესახებ, სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტი ასრულებს ნაშრომს დარგის სპეციალისტის მეთვალყურეობით და ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან (დანართი 4.3.4).

რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მედიცინის რაც, შეიძლება მეტი მიმართულებითა და სფეროს მოცვით. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
